

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 40

03/09/2016 წელი

ქ. ბათუმი

**„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის
არჩევნებისათვის პარტიისა და მისი წარმომადგენლის რეგისტრაციაში გატარების შესახებ“
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2016
წლის 12 აგვისტოს N20 განკარგულების ბათილად ცნობის შესახებ**

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 35-ე მუხლის შესაბამისად 2016 წლის 12 აგვისტოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის N20 განკარგულებით მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ნეიტრალური საქართველო“ - სახელწოდებით „კვარაცხელია - სოციალისტები“ და მისი წარმომადგენელი გატარდა რეგისტრაციაში.

2016 წლის 30 აგვისტოს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ მიღებულ იქნა განკარგულება N127/2016 „საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „კვარაცხელია - სოციალისტები“ და მისი წარმომადგენლის რეგისტრაციაში გატარების შესახებ“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 17 ივლისის განკარგულების N44/2016 ბათილად ცნობის შესახებ, აღნიშნული განკარგულების მიღების საფუძველია 2016 წლის 24 აგვისტოს N204320 საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილება, რომლითაც განუხილველად იქნა დატოვებული მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „ნეიტრალური საქართველო“-ს 2016 წლის 1 აგვისტოს განცხადება ხელმძღვანელზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ცვლილების რეგისტრაციის თაობაზე, რის გამოც ბატონი ვალერიან კვარაცხელია არ იქნა მიჩნეული პარტიის თავმჯდომარედ და უფლებამოსილ პირად. შესაბამისად მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებას „ნეიტრალური საქართველო“ სახელწოდებით „კვარაცხელია - სოციალისტები“ მოცემული მდგომარეობით არ ჰყავს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი ხელმძღვანელი პირი.

აღნიშნულ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, ბათილად უნდა იქნეს ცნობილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 12 აგვისტოს N20 განკარგულება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის პარტიისა და მისი წარმომადგენლის რეგისტრაციაში გატარების შესახებ“, ვინაიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობის მიღების მიზნით მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „ნეიტრალური საქართველო“ რეგისტრაციაში გატარების ერთერთი საფუძველი ბათილად არის ცნობილი, კერძოდ საქართველოს

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 30 აგვისტოს N127/2016 განკარგულებით „საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „კვარაცხელია - სოციალისტები“ და მისი წარმომადგენლის რეგისტრაციაში გატარების შესახებ“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 17 ივლისის N44/2016 განკარგულება ბათილად იქნა ცნობილი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 601 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, ვადგენ:

1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის პარტიისა და მისი წარმომადგენლის რეგისტრაციაში გატარების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 12 აგვისტოს N20 განკარგულება ბათილად იქნას ცნობილი მისი ძალაში შესვლის დღიდან.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პარმენ ჯალაღონია

თავმჯდომარე